# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ დღიური გაზეთი, გამოდის კვირა-უქმეების შემდეგაც.— კვირა, 23 იანვარი 1900 წ. № 1023.

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვაკის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვაკის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელთნაწერი ... წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ ლაპარაკი რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა: 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"—„Моамбэ"

## „მოამბე" 1900 წ. „ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე) — გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთის ქალაქებში | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

(წელიწადი მეხუთე) — გამოდის ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| | 1 წლით | 1 თვით |
|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 6 მან. | 75 კაპ. |
| საზღვარ გარეთის ქალაქებში | 7 მან. | 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. ‖ პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე"-ს ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ დაეთმობა**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

ჟურნალში ლიტერატურულ ნაწილს გარდა დაიბეჭდება სხვათა შორის მიმოხილვა და უცხოეთის მიმოხილვა. ‖ გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, ფასი დაიკლებს.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".

---

კვირას, 23-ს იანვარს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

## გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა.

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულისა აუწყებენ რა ნათესავთ და ნაცნობთ, სთხოვენ მათ მობრძანდნენ დიდუბის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზე, პანაშვიდი $11^1/_2$ საათზე.

2—2 (რ)

---

ვინც „მოამბეს" ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ დაეთმობა

წლიური ფასი განიყოფება ასე: პირველად—5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.

---

## ქართული თეატრი

კვირას, 23 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან

ბატონ **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

## ბედს ვერ წაუხვალ

დრამა 4 მოქმედებად, თხზ. მანგამერისა, თარგ. მ. ნასიძისა.

## ცოლი ორის დღით

ვოდევილი 1 მოქმ. თარგმანი ნ. ყიფიანისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. კარგარეთელი, ნებიერიძე, აბხაზიშვილი, ბ.ბ. ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, აღაძიძე, ჰელიძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.**

ნ. (3—3) რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

## ახალი ამბავი

✦ სახელმწიფო ქონებათა და მიწად მოქმედების მინისტრმა ერმოლოვმა შარშან დაათვალიერა რუსეთის თითქმის ყველა **მინერალური წყლები**, რომელნიც ხაზინას ეკუთვნიან. ამ ჟამად სამინისტრო ამზადებს პროექტს, თუ რა საშუალებით უნდა იქმნას გაუმჯობესებული წყლების მდგომარეობა. სხვათა შორის განზრახულია მოწყობა ახლად აღმოჩენილის მჟავე წყლისა ჩერნომორის გუბერნიაში ქალაქ რომანოვსკის ახლო და გოგირდისა—სოჩის ახლო. განზრახულია აგრეთვე, იმ ქალაქებში, სადაც სამინერალო წყლებია, საგანგებო მმართველობა იქმნას დაარსებული, რომელსაც მიენდობა კურორტების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმე.

✦ **ქალაქ ტფილისის** შემოსავალ-გასავლის **ხარჯთ-აღრიცხვა** 1900 წლისა უკვე შემუშავდა და წარედგინა საგუბერნიო მმართველობას დასამტკიცებლად.

✦ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა მიიღო ამ დღეებში პეტერბურგიდან **ახალი პროგრამა** იმ **ოფიცერთათვის**, რომელთაც განზრახვა აქვთ წელს შევიდნენ უმაღლეს შტაბის აკადემიაში. ეს პროგრამა ბევრად არ განსხვავდება წინანდელ პროგრამისაგან.

✦ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს დააარსოს პეტერბურგში **ანგარიშის მწარმოებელთა ინსტიტუტი**, რომელსაც საგნად ექმნება მოამზადოს მცოდნე და გამოცდილი ანგარიშის მწარმოებელნი ვაჭრობისა და მრეწველობის საქმისათვის. პროექტი ინსტიტუტისა უკვე შედგენილია და მალე წარედგინება მინისტრთა კომიტეტს. პროექტით ინსტიტუტის განყოფილებანი გაიხსნება შემდეგში პროვინციის დიდ ქალაქებშიაც, სხვათა შორის ტფილისშიაც.

✦ **დღეის სწორს, 30-ს იანვარს,** სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება ქართული სახალხო **სამუსიკო და სასიმღერო საღამო.**

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროში ამჟამად იხილება პროექტი, რომლითაც განზრახულია შემოიღონ **ახალი გარდასახადი** წყლებზე საექიმოთ ჩამოსულებზე. გარდასახადი მოხმარდება ისევ წყლების გაუმჯობესობის საქმეს.

✦ დღეს, 23 იანვარს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, **ტფილისის რეალურ სასწავლებელში** მოხდება სადღესასწაულო აქტი ამ სასწავლებლისა, რომელზედაც, სხვათა შორის, წაკითხულ იქმნება ანგარიში ამ სასწავლებლის მდგომარეობისა წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში.

✦ თელავის მაზრის ექიმი ოფიციალურად იტყობინება, რომ მაზრაში ვრცელდება **ყვავილი**, რადგანაც ხალხი, საუბედუროდ, ეწინააღმდეგება აცრასო.

✦ ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტშიაც გაჩნდა **ქუნთრუშა**. ავად გამხდარა ერთი მოსწავლე.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ **ქართული დრამატიული საზოგადოების საშუალებათა გამდიდრებისათვის** ხსენებულ საზოგადოების გამგეობა წელს, დიდმარხვაში, ჩვეულებრივ ბალის მაგიერ გამართავს კონცერტს.

✦ წრევანდელმა განუწყვეტელმა ავდრებმა აღმოაჩინეს ბევრი ნაკლი ქალაქის ტეხნიკოსების მიერ გაკეთებული გზებისა და წყლის უსუფთაო მილებისა. ელისაბედის ქუჩაზე სამ ადგილას ჩაწვა მიწა, ვოკზალთან, სადაც შეშების საწყობებია, ისეთი მორევებია ტალახისა, რომ საშიშოა იქ ეტლით გავლა. ნავთლუღის გზა, კახეთის გზიდან დაწყებული სამხედრო საავადმყოფომდე, წარმოადგენს დაუსრულებელ თხრილებს. აველაბრის, ვერისა და დიდუბის ქუჩებიც უნუგეშო მდგომარეობაშია.

✦ ხორცზე დადებულ ნიხრის შესაცვლელად იანვრის 20 ნიხრის დამდებმა კომისიამ დააკვლევინა თოთხმეტი ძროხა და ხარი და ათი ცხვარი, რომლებიც ნაყიდი იყო ტფილისშივე. აღმოჩნდა, რომ ცხრის

ხორცი გირვანქა 9,74 კ. დაჯდა უხარჯოდ, ხოლო ხარჯიანად 10,49 კ., ძროხის ხორცი კი—გირვანქა 9,47 კ., ხოლო ხარჯიანად—10, 38 კ. 22 იანვარს კომისიამ განიხილა ოქმი საქონლის დაკვლისა და დაადგინა: დანიშნოს ნიხრი 11 კ. გირვანქა ცხვრის ხორცზედაც და ძროხისაზედაც და ეს დადგენილება წარუდგინოს საბჭოს და შემდეგ გუბერნატორს დასამტკიცებლად.

✦ **ტფილისში გასასყიდათ** მოურეკნიათ 15 იანვრამდის: ახალ ქალაქის მაზრიდან:—16 ხარი, 17 ძროხა და 1 კვებულა; ბორჩალოდან—385 ხარი, 270 ძროხა, 25 კვებულა, 47 ხარ-კამბეჩი და 25 ფურ-კამბეჩი; გორის მაზრიდან: 17 ხარი 2 ძროხა, 8—ხარ-კამეჩი და 1 ფურ-კამბეჩი; დუშეთის მაზრიდან—33 ხარი, 29 ძროხა, 9 კვებულა, 10 ხარ-კამეჩი და 3 ფურ-კამეჩი; სიღნაღის მაზრიდან—18 ხარი, 6 ხარ-კამბეჩი და 2 ფურ-კამბეჩი; თიონეთის მაზრიდან—6 ხარი, 5 ხარკამბეჩი—თელავის მაზრიდან—6 ხარი, 2 ძროხა, 43 ხარ-კამბეჩი, 19 ფურ-კამბეჩი; ზაქათალის მაზრიდან—6 ხარი, 11 კამბეჩი და 12 ფურ-კამბეჩი; ტფილისის მაზრიდან 162 ხარი, 83 ძროხა, 19 კვებულა, 64 ხარ-კამბეჩი, 41 ფურ-კამბეჩი; განჯის გუბერნიიდან: 56 ხარი, 54 ძროხა, 1 კვებულა, 24 ხარ-კამბეჩი და 7 ფურ-კამბეჩი, ერევნის გუბერნიიდან 39 ხარი და რუსეთიდან 291 ხარი.

მაშასადამე ზემოთ აღნიშნულ ადგილებიდან მოურეკიათ გასასყიდათ ტფილისში: ხარი 1013, ძროხა 394, კვებულა 66, ხარკამეჩი 223, ფურ-კამეჩი 102. სულ 1528. ამ საქონლიდან სოფლებში სამუშაოდ წაიყვანეს 5 ხარი, დანარჩენი კი საკლავად წავიდა.

ამ საქონელზე სახელმწიფო 2% ხარჯი გარდახდა 924 მან. და 60 კაპ.

✦ ქალაქ ტფილისის გამგეობის კრებაზე 21 იანვარს განსახილველად დანიშნული იყო, სხვათა შორის, პროექტი სავალდებულო დადგენილებათა შესახებ ტფილისში **სავაჭრო—საბაზრო დღეების დანიშვნისა** და სხვ. პროექტის განსახილველად მოწვეულნი იყვნენ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველნი. დადგენილებათა პროექტი შეეხება, გარდა ზემოდ აღნიშნულისა, სავაჭრო მოედნების გახსნასა და მათ სარგებლობას სანოვაგის მომტანთა მიერ. ქალაქის გამგეობამ პრინციპიალურად დაადგინა: საბაზრო დღეებად დანიშნოს შაბათი და კვირა, 23 და 24 დეკემბერი, 4 და 5 იანვარი, ყველიერის პარასკევი და მთელი მწუხრის კვირა. საბაზრო მოედნებად, რომლებზედაც სოფლის მწარმოებელთ დაუბრკოლებრივ შეეძლებად ვაჭრობა ეტლებიდან საქონლის ძირს ჩამოუღებლად, დანიშნულია ვერის, აბას-აბადის, რიყის (დესიმონოვის), ავჭალის და კახეთის (ავლაბრის) მოედნები. ხოლო საზოგადოდ სავაჭრო ბაზრობისათვის დატოვებულია „სალდათის ბაზარი“ (იარმუკა), თათრისა, ნიკოლოზისა და მალაკნების მოედნები. ამ მოედნებზე ტვირთით დგომა აღკრძალული იქმნება. ყველა სავაჭრო მოედნებზე აღკრძალული იქმნება შუადღის თორმეტ საათამდე ჩარჩების მიერ სანოვაგის ყიდვა. პროექტი დაწვრილებით გასასინჯად, შესასწორებლად და დასამატებლად გამგეობამ გადასცა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს. გარდა ამისა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოელაპარაკოს მირზოევებს დაუთმონ მათ ქალაქს მოედნათ თავისი მამული, რომელიც მდებარეობს ხარფუხში, ვორონცოვის ქუჩის პირად.

✦ სოფ. როხიდან (ქუთ. მაზრა) სწერენ გაზ. „ივერიას“, რომ აქაურმა მცხოვრებმა—გლეხმა პორფირე ალმასხანის-ძე ბაღდავაძემ, როდესაც შელვინიანდა სადილობის დროს, **მოჰკლა** თავისი 22 წლის უმცროსი **ძმა** ვლადიმერი. საქმე ასე ყოფილა: მკვლელს და მოკლულს ჰქონიათ ერთმანერთ შორის უკმაყოფილება. მკვლელს პორფირეს, მეტის მეტი გაანჩხლება სცოდნია სიმთვრალის დროს. ამდგარან ძმები სუფრიდან და მინდორში გასულან. ხმა-მაღლა ლაპარაკის დროს პორფირეს დაუკრავს ხანჯალი ვლადიმერისათვის მკლავში და მერე კეტი დაუკრავს დაჭრილისათვის მხარში. დაჭრილი გაქცეულა თავისის ბიძის სახლისაკენ და დაუძახნია: „ბიძია, მიშველე, მომკლაო“. ამ დროს მივარდნილა პორფირე და დაუშენია ხანჯალი თავში. „კარგი, შე ულმერთო, გეყოფა, ხომ ჰხედავ, მომკალი“, შეუძახნია ძმას. ამ სიტყვების შემდეგ ვლადიმერი ცალის ხელით სვეტს შემოხვევია, მაგრამ მერე უცებ წაქცეულა სისხლისაგან დაცლილი და სული განუტევებია. საკვირველი ისაა, რომ მშობლებს და ძმებს ამ საქმის მიყუჩება მოუნდომებიათ და ხმაც არ ამოუღიათ. დაუწყიათ ჩვეულებრივად სამზადისი მიცვალებულის დასასაფლავებლად. ამ დროს, როგორც იყო, მოუკრავთ ყური ამ ამბისათვის გორის მამასახლისს სიმონ მაღლაკელიძეს და მის მწერალს ბენედიქტე ბაკურაძეს. მისულან ადგილობრივ და დაუწყიათ საქმის გამოკვლევა. ჯერ უარი უთქვამთ დამსწრეთ, მაგრამ მერე მართალი გაუმჟღავნებიათ. მეორე დღეს მამასახლისის მოხსენებით მოვიდნენ ადგილობრივი გამომძიებელი და პოლიციის ბოქაული გამოძიების დასასრულებლად.

✦ 20 იანვარს რუსეთიდან დასაკლავათ მორეკილია 30 საქონელი, რომელიც ქალაქის ბაკში დააყენეს გასასყიდათ, **აღმოჩნდა თურქული ჭირით ავადმყოფი**. ამის გამო მთავრობის ვეტერინარის ბ-ნი შ. დედაბრიშვილის განკარგულებით, დამწყვდეულია საკუთარ ბაკში და გაყიდვის და დაკვლის ნება მიეცემა მხოლოდ მორჩენის შემდეგ.

✦ მოგვივიდა მეთორმეტე ნომერი აკაკის თვიური „კრებულისა“-აი შინაარსი ამ წიგნისა: 1) „რჩევა“ (ლექსი) აკაკისა; 2) „ავადმყოფს მგოსანს“ (ლექსი) სილოვანისა; 3) „კარგადმყოფს მგოსანს“ (ლექსი) აკაკისა; 4) „თავგანწირული ექიმი“ დ. კამკამიძისა; 5) „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი“ (დასასრული) მ. ჯანაშვილისა; 6) „ამირანი“ (დრამატიული პოემა) სევასტი გაჩეჩილაძისა; 7) „ისტორია ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა“ ზ. ჭ.—სა. მეორე განყოფილება: 1) „ხალხური ლექსები“, შეკრებილი სოსიკო მერკვილაძის-მიერ; 2) „ანდაზები“ (მისივე); 3) „ზმა“ (მისივე).

✦ გუშინ, 22 იანვარს, „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ გარდასცა (კვიტანციის ნომერი № 20) **ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა** დამხმარებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს 28 მან. და 30 კ., რომელიც რედაქციაში შემოვიდა ხსენებულ დაზარალებულთა სასარგებლოდ. 18 მან. და 30 კაპ. შემომწირველთა გვარი და სახელი უკვე გვქონდა გამოცხადებული ხოლო დანარჩენი 10 მანეთი გუშინ წინ მივიღეთ თელავის მაზრის თეთრის წყლების დროებით მცხოვრებისაგან, პლატონ გუგუშვილისაგან და ვაჭარ სპირიდონ ახპატელოვისაგან. აი სახელი და გვარი ამ ფულის შემომწირველთა:

პლ. გუგუშვილი—1 მ. 10 კ., სპ. ახპატელოვი—1 მ. 10 კ., გ. გ.—1 მ., ივ. ბურაკოვსკი—1 მ., ივ. სტეფანოვი—50 კ., საქულ ზურაბოვი—50 კ., ტიტაა ბასუაშვილი—50 კ., არ. აზარიანცი—40 კ., ს. ტერ-ოჰანეზოვი—40 კ., დავ. სუკანიანცი—40 კ., ას. დარბანიანცი—40 კ., სტ. პიცალოვი—40 კ., არ. სარქისოვი—40 კ., მიხ. სოლომონოვი—60 კ., ივ. რეზნიჩენკო—30 კ., ივ. იორდანიშვილი—20 კ., ალ. ჯაშიაშვილი—20 კ., ივ. პაპუნაშვილი—20 კ., მიხ. გერმანიშვილი—20 კ., აბრამ ქელეხიძე—20 კ., სულ—10 მანეთი.

✦ ბაქოდან გვწერენ, რომ იქ ამ ბოლო დროს ძალიან **ხშირად უჩნდება ცეცხლი შენობებს**. სხვათა შორის, 19 იანვარს ცეცხლი გაჩენია შეძლებულ ქართველ ვაჭრის წინთერაძის მაღაზიას. თუმცა ცეცხლი მალე ჩაუქრიათ, ზარალი მაინც დიდი ყოფილა.

✦ ქუთაისიდან გვწერენ, რომ იქ ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა **ქურდობა**. ერთ ღამეს, მაგალითად, გაქურდეს ერთად ოთხი მაღაზია. ქურდების ვინაობას პოლიცია ვერ ტყობილობს.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**21 იანვარი**

**ლონდონი.** საღამოს $6\frac{1}{4}$ საათ. არავითარი ცნობა მდ. ტუგელის ბრძოლის ველიდან სამხედრო სამინისტროს არ მიუღია. სამხედრო უწყება აცხადებს, რომ სპიონსკოპთან ბრძოლის დროს უგზოუკვლოდ დაიკარგა 215 კაცი.

**სპირმანსკაპი.** ბულლერმა მიჰმართა ჯარებს სიტყვით, რომელშიაც, სხვათა შორის, გამოსთქვა: იმედია, რომ ერთი კვირის შემდეგ ინგლისის ჯარები ლედი-სმიტში შევლენ. მკვიდრნი ამტკიცებენ, რომ ჟუბერი მოკლულ იქმნა ყუმბარით ლედი-სმიტთან ბრძოლის დროსო.

**ლონდონი.** პალატა. ბალფურის სიტყვის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ჩარლზ დილკარმა. უკანასკნელი ამბობს, რომ ყოველისფერში დამნაშავეა მთავრობა. შემდეგ უინდგემი იცავს მთავრობას: თუ თავის დროზედ ჯარები არ იყო გაგზავნილი აფრიკაში, ეს იმიტომ, რომ მთავრობას დიპლომატიის იმედი ჰქონდა. ეხლა კი აფრიკაში მალე 180.000 კაცი იქმნება 398 ზარბაზნით. გარდა ამისა 26,000 აფრიკანდერია, რომელთ კიდევ ყოველ დღე ემატება. ბურებთა რიცხვი კი 1898 წელს არ აღემატებოდა 5900 (?) ათასი ზარბაზნით. უინდგემი თხოულობს, რომ ფიცმორისის წინადადება უარ-ყოფილ იქმნას. ბროდრიკი აცხადებს, რომ მას არ შეუძლიან შეატყობინოს რამე პალატას გერმანიასა და ინგლისს შუა სა

დუმლო ხელ-შეკრულობის შესახებ.

ბალფური აცხადებს, რომ მთავრობას განზრახვაც არ ჰქონია ინდოეთის ჯარების გაგზავნისა სამხრეთ აფრიკაში. ბრადსი ჰკითხულობს—იცის თუ არა ჩემბერლენმა „ინდაპანდან ბელჯ“-ის მიერ დასტამბული ცნობა, ყალბია თუ მართალი დეპეშები, რომლებიც ამ გაზეთმა დაბეჭდა, და საზოგადოდ რა აზრისა არის ჩემბერლენი მთელ ამ საქმის შესახებ? ჩემბერლენი უპასუხებს, რომ მან იცის მხოლოდ ორი თუ სამი წერილი ფერფილდისა, მაგრამ მას არ ჰგონია, რომ მათი ტექსტი ნამდვილი იყოს; რაც შეეხება სხვა წერილებს გეფკისლეიმ აცნობა მას, რომ ესენი მოიპარა 1897 წელს სამსახურიდან დათხოვნილმა მწერალმა. ამ წერილების შესახებ თვით ორატორმა გაიგო მათი დაბეჭდვის ორი თუ სამი დღის წინად. მაკ-ნეილი ეკითხება მთავრობას, რა ზომებს რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა სამინისტროს იმ წერის წინააღმდეგ, რომელმაც გამოიჩინა პატიოსნება და მუხთლობა? ბალფურმა უპასუხა, რომ ამისთანა ბრალდება დაჯილდოვებულ უნდა იქნეს ზიზღით. (ისმის მოწონების ხმა).

**პარიზი.** დეშანელმა, აკადემიაში ამორჩევასა გამო, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა ერვიე, როგორც ჟურნალისტი. 1870 წ. ომის შემდეგ ერვემ მთელი თავის ყურადღება რუსეთს მიაქცია. ერვე იყო ერთი მოთავეთაგანი რუსეთთან კავშირის შეკვრისა; ამ კავშირს უნდა გაეწია წინააღმდეგობა გერმანიისათვის. ერვეს ჰსურდა, რომ კავშირით დაწყებულიყო ახალი ხანა ევროპასა და მშვიდობიანობისათვის ერვე იმ აზრის იყო, რომ საფრანგეთს არ შეუძლიან ერთსა და იმავე დროს ებრძოლოს ინგლისსაც და გერმანიასაც.

**პარიზი.** სენატის სხდომები ისევ დაიწყო. სენატორმა დაამტკიცა ყველა არჩევნები, მათ შორის გენერალ მპრსიეს არჩევაც.

**ჰააგა.** მთავრობამ წარუდგინა პარლამენტს წინადადება, რომ დამტკიცებულ იქმნას გააგის კონფერენციის მიერ მიღებული სამედიატორო სასამართლოს პროექტი. კონფერენციამ სხვათა შორის დაადგინა, რომ სამედიატორო სასამართლო გააგაში უნდა იქმნას დაარსებული ნიდერლანდიის მთავრობა ამაყობს იმით, რომ საერთა შორისო სასამართლო იქმნება გააგაში, სადაც უწინაც ბევრი მშვიდობიანობას ხელ-შეკრულება მოხდენილა.

**შანხაი.** 50 ჩინელმა მოაწერა ხელი პროტესტზედ იმპერატორის კუონსუს გადაყენების წინააღმდეგ. პეკინიდან ბრძანება მოვიდა დაატუსაღონ პირველი სამი ხელის მომწერელი აქაურ ტელეგრაფის დირექტორი, რომელმაც სხვებთან ერთათ მოაწერა ხელი პროტესტს იოვაგამში წავიდა.

**მეფკინგი.** პოლკოვნიკი პაუელის დეპეშა ამბობს: „აქ მშვიდობიანობა სუფევს. 16 იანვარს მე იძულებული გავხადე მტერი უკან დაეწია მას თავისი დიდი ზარბაზნებით. მტერს კიდევ უჭირავს ორი სიმაგრე, მაგრამ იმედი მაქვს მალე დინამიტით დავანგრიო ისინი, მეფკინგის ჯარი კარგად არის“.

**ლონდონი.** „სენტ-ჯემს გაზ.“ იტყობინება, რომ ბულლერი სამ ადგილას გადვიდა მდ. ტუგელზე და მთელი დღე ბრძოლა აქვს.

**პეტერბურგი.** 20 იანვარს საზამთრო სასახლეში მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით გაიმართა მეორე ბალი.

**ლონდონი.** ის ცნობა, ვითომც ობდურმანში მდგომი ჯარი აჯანყდაო, მართალი არ არის.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ედუარდ გეი ამბობს: ოპპოზიციას არ სჯერა, რომ ინგლისი გაჭირვებულ მდგომარეობაშია. თვით კამათიც ამგვარ მდგომარეობამ გამოიწვია. ოპოზიციას არ შეუძლიან არ გაჰკიცხოს მთავრობა, მაგრამ ამავე დროს მზად არიq დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას ომის გაგრძელებისათვის. ასკიზმა სთქვა, რომ ომი მანამდის უნდა გაგრძელდეს, სანამ ინგლისის დროშა არ აფრიალდება პრეტორიასა და იოჰანესბურგში.

**სპირმანსკამპი.** დენდონალდის ცხენოსანმა ჯარმა დაზვერა განგერსპორტის მიდამოები დასავლეთით, მაგრამ მტერი ვერსად ვერ აღმოაჩინა.

პეტერბურგის ბირჟა. 21 იანვარი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა. . . . . | — | — „ | 221¼ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91 „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 „ | | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 98 „ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| 4½% ამავე ბანკისა | — „ | 94 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97½ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა . . . | 90 „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 299 „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . | — „ | —,, | 283 „ |

დრ. რედაქტ. ალ. ჭყონია.

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდარო ცნობები

**კვირა,** 23 იანვარი; ახალი სტილით 4 თებერვალი. მთვარის მე-7 დღე. წლის დასრულებამდე დარჩა 343 დღე. ხსენება წმ. მღვდელ-მოწამისა კლიმი ანკვირელისა და სხვათა. მოგონება მეექვსე მსოფლიო კრებისა 680 წლისა.

**ორშაბათი,** 24 იანვარი; ახალი სტილით 5 თებერვალი, წლის დასრულებამდე დარჩა 342 დღე. მთვარის მე-8 დღე. ხსენება ღირსისა დედისა ქსენიასი და მოწამისა ბაბგიასი.

შემდეგი უქმე დღე—2 თებერვალს, მირქმა უფლისა ჩვენისა.

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —9 კ. | |
| სუკი . . . . . | 1 „ | —15 კ. | |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. | |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. | |
| „ ღორისა . . | „ „ | — 8 კ. | |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. . | 1 „ | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამლა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ „ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 ,, | 25 ,, |
| № 1—8 ,, | 50 ,, | № 5—7 ,, | — ,, |
| № 2—8 ,, | — ,, | № 6—6 ,, | 75 ,, |
| № 3—7 ,, | 50 ,, | № 7—6 ,, | 25 ,, |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.
მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
,, ფშხვნილი ,, 4 ,, 80 ,,
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ.
ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მამ.-60დე.

## ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: ვოკზალზე:

| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| დორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უკრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ., შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი თათრული 3 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 30 მ.-დამ 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან. შესაბმელი —

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 სალ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის სალამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის სალ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. სალ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. სალ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. სალ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—სალ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ., 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 35 წ.

**მიხაილოვოდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ გამგეობის თანადასწრებით, შუა დღის 12 საათზე, 1900 წ., 3 თებერვალს, დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის ადგილისა, ტფილისის მე-7 ნაწილში,

მახათის მთისა და მარტყოფის გზის შუა, ამატუნის მამულების ახლო, ზომით 237 დეს. გაჯის დასაწვავად. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს პირობები გამგეობის მე 4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე. 6. 3—1

დაიბეჭდა და იყიდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ანდერსენისა:

# დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.
გამოცემა
საჩინო თურქიასი
ფასი 8 კაპ.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1900 годъ на

# НОВЫЙ ЖУРНАЛЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ

4-й годъ изданія

## ИСКУССТВА и НАУКИ.

12 книгъ—4 большихъ тома, болѣе 7,000 столбцовъ больш. in 8° 2,000 иллюстрацій на лучшей бумагѣ. Книга обходится под писчику менѣе 35 к.

**Первое въ Россіи** общедоступное иллюстрированное ЕЖЕМѢСЯЧНОЕ ИЗДАНІЕ.
(Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ ежемѣсячниковъ).

| | |
|---|---|
| На годъ . . . . | 4 р. — к. |
| Съ доставк. и пересил. . . . | 5 „ — „ |
| На полгода . . . | 2 „ 50 „ |
| Съ доставк. и пересил. . . . | 3 „ — „ |

## Содержаніе «Новаго Журнала Иностранной Литературы» въ теченіе всѣхъ 12-ти мѣсяцевъ 1900 г.

будетъ еще богаче, чѣмъ въ предшествующее трехлѣтіе и по выбору наилучшихъ произведеній выдающихся писателей и художниковъ, и по разнообразію и новизнѣ литературныхъ, научныхъ и художественныхъ этюдовъ и статей съ иллюстраціями. Изъ нихъ отмѣтимъ наиболѣе крупныя и значительныя:

Новое произведеніе Эмиля Зола, еще не издававшееся во Франціи.

Новый романъ АНАТОЛЯ ФРАНСА.

Новые разсказы Гюи Де-Мопасана.

Фантастическій романъ Уэльса (автора „Борьбы міровъ“) После дождика въ четвергъ.

Англійскій юмористическій романъ
**Венера и Амуръ.**

Философскіе романы Вольтера.

**ЭПОПЕЯ РАБЛЭ.** О героическихъ дѣяніяхъ и реченіяхъ добраго пантагрюэля
Съ французскаго текста XVI вѣка. Съ многочисленными иллюстраціями ДОРЕ.

Изъ автографіи Марка Твена.

Новое жизнеописаніе Оливера Кромвеля.

Нравственно-общественные этюды Макса Нордау.

Избранныя страницы Фридриха Ницше.

**СЕЗАМЪ и ЛИЛИИ.** Джона Рескина (John Ruskin). первый полный переводъ. (Простыя мысли о книгахъ, какъ мы ихъ читаемъ, какъ могли бы и должны бы ихъ читать).

**АТМОСФЕРА**
Капитальный и увлекательный трудъ знаменитаго ученаго популизатора Камилла Фламаріона (въ 6 книгахъ съ 300 иллюстраціями).

Живопись прерафаэлитовъ за все время ея существованія.
Съ многочисленными репродукціями съ картинъ 50 художниковъ.
Цѣна англійскаго изданія, послужившаго источникомъ для этой монографіи.—25 руб.

**Современный Парижъ.**
Этюды объ интереснѣйшихъ фазисахъ современной парижской жизни. промышленной и фешенебельной, официальной, литературной и артистической.
Съ иллюстраціями Андре Кастенья, рисунки котораго для напечатанной нами въ 1899 г. исторической монографіи проф. Увлера „Александръ Великій“ и въ статьѣ „Семь чудесъ міра“ обратили на себя общее вниманіе.

Живописное и красивѣйшее на Всемірной Парижской выставкѣ 1900 г.
Въ рисункахъ знаменитыхъ французскихъ художниковъ и въ наилучшихъ фототипическихъ репродукціяхъ.

**XIX ВѢКЪ ВЪ КАРИКАТУРАХЪ.**
Это—единственная въ своемъ родѣ юмористическая характеристика главнѣйшихъ событій общественной, литературной. художественной и артистической жизни уходящаго въ вѣчность столѣтія въ произведеніяхъ знаменитыхъ европейскихъ рисовальщиковъ, съ пояснительнымъ текстомъ.

**Подписная цѣна на 1900 г.:**
Годовая (съ 1-го января 1900 г.) Безъ доставки 4 р., съ достав. и пересил. 5 р. За границу 8 р. Полугодовая безъ доставки 2 р. 50 к., съ доставкой и пересылкой 3 р. За границу 5 р.
**Кника обходится подписчику менѣе 35 k.**
Для гг. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденіяхъ допускается разсрочка за поручительствомъ ихъ казначеевъ.

*Редакторъ-издатель Ѳ. И. БУЛГАКОВЪ.*

ПОДПИСКА ПРИНИМАЮТСЯ:
Въ редакціи „Новаго Журнала Иностранной Литературы“—С.-Петербургъ, Малая Морская, д. № 9, и въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“ (Невскій, 40). Въ Москвѣ—въ конторѣ Н. Печковской (Петровскія линіи), гдѣ для московскихъ подписчиковъ допускается и разсрочка, а также принимается только годовая подписка безъ доставки въ Москвѣ—ц. 4 р. 50 к. Иногородніе подписчики въ разсрочку благоволятъ адресоваться въ редакцію „Новаго Журнала Иностранной Литературы“ (С. Петербургъ, Малая Морская, 9).

(Э. 5—2)

---

## Открыта подписка на 1900 годъ

НА БОЛЬШУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

*безъ предварительной цензуры*

# „СѢВЕРНЫЙ КУРЬЕРЪ“.

Редакція и Контора С.-Петербургъ, Большая Морская, № 5.

Въ основу своего міросозерцанія „Сѣверный Курьеръ“ полагаетъ идею единства европейской цивилизаціи, не исключающей началъ національной самобытности, и ставитъ своей цѣлью добросовѣстное и безпристрастное изученіе русской жизни и освѣщеніе ея въ духѣ справедливости и развитія гражданственности. Въ этомъ смыслѣ „Сѣверный Курьеръ“ направитъ всѣ усилія, чтобы быть вѣрнымъ выразителемъ прогрессивныхъ стремленій наиболѣе отзывчивой части русскаго общества. Придавая огромное значеніе совершающейся въ Россіи экономической эволюціи въ области земледѣлія и промышленности, „Сѣверный Курьеръ“ будетъ внимательно слѣдить какъ за самымъ процессомъ эволюціи, такъ и за всѣми происходящими на этой основѣ измѣненіями въ духовной жизни народа. всюду выдвигая надъ узкоэгоистическими личными и групповыми интересами благо и интересы трудящихся массъ безъ различія сферы приложенія ихъ труда. Серьезное вниманіе будетъ удѣлено выясненію и установленію правильныхъ отношеній между центромъ и окраинами на основѣ полнаго признанія и уваженія правъ личности, національности и началъ вѣротерпимости. „Сѣверный Курьеръ“ вѣритъ въ необходимость органическаго роста областного начала, желательность дальнѣйшаго расширенія сферы общественной самодѣятельности и потому отведетъ подобающее мѣсто вопросамъ земскаго и городского самоуправленія, областнымъ интересамъ и нуждамъ. Не меньшее значеніе придаетъ газета успѣхамъ русской школы и просвѣщенія и въ этой области поставитъ своей задачей сплоченіе и объединеніе усилій разрозненныхъ дѣятелей на просвѣтительномъ поприщѣ. Серьезное вниманіе будетъ удѣлено интересамъ науки, искусства и литературы.

### *Въ газетѣ примутъ участіе:*

I. Въ отдѣлѣ публицистики, науки и пр.: Андреевскій, А. М., проф Багалѣй Д. И., Брандтъ, Б. Ф., Василевскій, А. В., Венгеровъ, С. А., Венгерова, З. А., Витмеръ, Б. А., Головинскій, М. В., Довнаръ-Запольскій, М. В., Журавская, З. Н., проф. Зѣлинскій. Ѳ. Ф., Каптеревъ, П. Ф., Котельниковъ, А. П., проф. Котляревскій, Н. В., Кузнецовъ, И. Д., проф. Кузьминъ-Караваевъ, В. Д., Купріяновъ, Г. П., Крыштофовичъ, Ф., Лозинскій, А. А., Ляховецкій, Л. Д., Мазаевъ, М. Н., Мазуркевичъ, В. А., Морозовъ, П. О., Назарьева, К. В., проф. Озеровъ, А. Х., проф. Овсянико-Куликовскій, Д. Н., Панкратьевъ, П. Э., прив доц. Перетцъ, В. Н., Раппопортъ. С. И., Рейнгольдъ, А. А., Сабинина, М. В., проф. Свѣшниковъ, М. И., Селивановъ, Н. А., Смирновъ, Е. Л., Субботинъ, А. П., Сухонинъ, С. С., д-ръ философіи Филипповъ, М. М., Франко, Ив., Черевковъ, В. Д., Щепкина Е. Н., Щепкина-Куперникъ, Т. Л., акад. Янжулъ, Ив. Ив. Янжулъ, Е. Н., Ястребовъ, Н. М. и др.

II. Въ отдѣлѣ беллетристики и искусствъ: Борманъ, Э. Н., Вербицкая, А. А., Вересаевъ, В. В., Гнѣдичъ, П. П., кн. Голицынъ (Муравлинъ), Д. П., Горькій, М., Далькевичъ, М. М., Заринъ, А. Е., Коринфскій, А. А., Луговой, А. А., Медвѣдевъ, Л. М., Михайловскій, Н. Г. (Гаринъ), Мордовцевъ, Д. Л., Соллогубъ, Ф. К., Соломирскій, Э. В., Струве, П. Б., Сѣрошевскій, В. А., Танъ, Н. А., Франко, Ив., Фругъ, С. Г., Чюмина, О. Н. и др.

| ПОДПИСНАЯ ЦѢНА: | | На годъ. | На 6 м. | На 3 м. | На 1 м. |
|---|---|---|---|---|---|
| Въ Россіи | съ достав. и пересылкой | 10 р. — к. | 5 р. — к. | 2 р. 50 к. | 1 р. — к. |
| | безъ дос. | 9 „ — „ | 4 „ 50 „ | 2 „ 25 „ | — „ 90 „ |
| Заграницу . . . . | | 16 „ — „ | 8 „ — „ | 4 „ — „ | 2 „ — „ |

Разсрочка допускается по четвертямъ, а для служащихъ (черезъ казначеевъ) по 1 руб. въ мѣсяцъ (при подпискѣ на годъ въ теченіе первыхъ десяти мѣсяцевъ).—Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца.—За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—20 к. При перемѣнѣ адреса просятъ сообщать полностью прежній адресъ, или присылать бандероль, подъ которой высылалась газета. Деньги за перемѣну адреса можно высылать марками.—Отдѣльные номера газеты продаются въ Конторѣ Редакціи по 5 коп.—Редакція открыта ежедневно отъ 2 ч. до 4 ч.—Контора ежедневно отъ 11 ч. до 5 ч., кромѣ праздничныхъ и воскресныхъ дней.—Рукописи обратно не возвращаются.—Объявленія принимаются по цѣнѣ: 40 к. строка петита впереди текста и 15 к.—позади.

Редакторы: кн. В. В. Барятинскій. К. И. Арабажинъ.

Издатель: кн. В. В. Барятинскій.

Э. (5—2)

---